



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000052355362719

№ ს-9

09 / იანვარი / 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ფარგლებში, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ფარგლებში, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჯგუფის ხელმძღვანელი: მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ოთარი ჩხეიძე. ჯგუფის ხელმძღვანელი ახორციელებს სამუშაო პროცესის საერთო ხელმძღვანელობას, მასვე ეკისრება მერთან ანგარიშგების ვალდებულება;

ბ) სამუშაო ჯგუფის წევრები:

ბ.ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა ბაქრაძე - უზრუნველყოფს საკრებულოს წევრებთან სამუშაო ჯგუფის ურთიერთობას, მათ ინფორმირებას ჯგუფის საქმიანობის შესახებ და საკრებულოს წევრების ჩართვას პროგრამის განხორციელების პროცესში;

ბ.ბ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნუგზარ ხუხუნაიშვილი - კოორდინაციას უწევს მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავებას, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირებას დასახლებების მიხედვით, საპროექტო წინადადებების განხილვას, წინადადებების/რეკომენდაციების და საკრებულოში წარსადგენი საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადებას;

ბ.გ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი შოთა აბაშიანი - უზრუნველყოფს მოქალაქეთა ინფორმირებას პროგრამის განხორციელების შესახებ, აგრეთვე მათ კონსულტირებას. პროგრამის ფარგლებში შეიმუშავებს წინადადებებს/რეკომენდაციებს;

ბ.დ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ანა მამაგვიშვილი - უზრუნველყოფს მერის სამართლებრივი აქტების მომზადებას, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევას, სამუშაო ჯგუფის ოქმის წარმოებას და შეხვედრების ორგანიზებას;

ბ.ე) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ილია ციციშვილი - უზრუნველყოფს საჭირო თანხების


მობილიზების და მუნიციპალიტეტის ბიჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების თაობაზე წინადადების მომზადებას;

ბ.ვ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ქეთინო ლიპარტელიანი - უზრუნველყოფს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებსაიტზე ინფორმაციის პროაქტულად გამოქვეყნებას, მოსახლეობის ინფორმირებას მუნიციპალიტეტის facebook გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერას საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისთვის.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3..ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგვანსულია
ელემენტრონულად 

გიორგი კაპანაძე